LEPL CREATIVE GEORGIA
Digitally signed by LEPL CREATIVE GEORGIA
Date: 2022.03.01 16:28:23 +04'00'

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2406/1

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ შემოქმედებითი საქართველო, შემდგომში წოდებული `შემსყიდველად~, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირმა რატიანის** სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ლაივთაგი"-ს დირექტორი **გიორგი ზაუტაშვილი**, შემდგომში წოდებული `მიმწოდებელად~, ხოლო ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც "მხარეები" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"(შემდგომში `ხელშეკრულება") _ ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ ნიშნავს `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 `მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ, პროექტს - "კვლევისა და მტკიცებულებების ჩარჩოს შექმნა საქართველოს შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის"-პროექტის ფარგლებში, (**CPV72200000**) პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა:

№	დასახელება	თვე/წელი	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ თანხა ლარში
1	Zoom პრო პაკეტი	წელი	1	600	600
2	Zoom Webinar (up to 500 attendees)	თვე	1	330	330
	სულ თანხა ლარში				**930**

2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესი, ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის სასარგებლოდ ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
3.2 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება _ ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სხვა...) სრული მოცულობით გაფორმების შემდეგ.
3.3 მომსახურების გაწევა განხორციელდება: **ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2022 წლის 07 მარტის ჩათვლით.**

3 ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, ლარში
4.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **930** (ცხრაას ოცდაათი) ლარს, დღგ-ს გარეშე.
4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების გაწევის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად
5.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდგომ, ანგარიშფაქტურის გამოწერის (არსებოის შემთხვევაში) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
5.3 ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს: 2022 წლის სსიპ შემოქმედებითი საქართველოს გრანტის (**გრანტი №2406)** სახსრები.
5.4 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი
5.5 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.
5.6 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული თანხა, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსრულებელი კარგავს გასაწევი მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

5 მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილება ეხება <u>მომსახურების ვადაგადაცილებით გაწევას (მათ შორის ხარვეზის ან/და ნაკლის გამოსწორების ვადა)</u>

შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის **0.02%**-ის ოდენობით.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების **1%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება

6.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.7 თუ შემსყიდველი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6 მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება_ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად - ყოველთვიურად.

7.3 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

7.4 მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს: სსიპ შემოქმედებითი საქართველოს კვლევითი პროგრამის კოორდინატორი **- ვახტანგ ურუშაძე.**

7 მხარეთა უფლება-ვალდებულებები

მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის სასარგებლოდ განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

7.3 მიმწოდებელის მიერ გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო ასეთი შეთანხმების არ არსებობობის შემთხვევაში შესყიდვის განხორციელების მიზნის შესაბამის ხარისხს.

7.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7.5 განახორციელოს ონლაინ შეხვედრასთან დაკავშირებული, შემსყიდველის სხვა მითითებები/მოთხოვნები.

შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობისა და ფორმის შესაბამისად.

8 ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ, ჯეროვან ან სრულად შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

8.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

9 ფორს-მაჟორი

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

10 ხელშეკრულების დადების საფუძველი

10.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის `ს[1]~ქვეპუნქტი.

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

11.1 . ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2022 წლის 10 მაისის ჩათვლით.

12 ინტერესთა კონფლიქტი

12.1 “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13 სხვა პირობები

13.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.
13.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.
13.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ შემოქმედებითი საქართველო
საიდ.კოდი: 204583842
მის: ქ.თბილისი, ვ. დოლიძის ქ. კორპ. №28
სახელმწიფო ხაზინა
მობ: 591 093946

მიმწოდებელი:

შპს ,,ლაივთაგი“
ს/კ: 400176340
სს ,,თიბისი ბანკი’’
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE40TB7875436020100001
მის: ქ. თბილისი, პეტრიწის 7, 31
ტელ: 591 44 13 33; 595 37 57 05

დირექტორი:

ი. რატიანი

დირექტორი:

გ. ზაუტაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ შპს-სთან ,,ლაივთაგი“ (ს/კ:400176340, ხელშეკრულება №2406/1) შესყიდვის განხორციელებაში მონაწილეობა, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შესყიდვების მენეჯერი
მეგი ქადაგიძე